



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

10 ივნისი 2024



N 21/5983

სს „მინას“

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი

ელ. ფოსტა: [otasdemir@sisecam.com](mailto:otasdemir@sisecam.com); [gdanelia@sisecam.com](mailto:gdanelia@sisecam.com); [mabuseridze@sisecam.com](mailto:mabuseridze@sisecam.com)

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს;  
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №4583 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად (ბრძანება №2-1134; 07.12.2020), საწარმოში მოწყობილი იყო ორი 100 ტ/დღ სიმძლავრის მინის სახარში ღუმელი (ე.წ. B და C ღუმელი), ამასთან 2023 წლის 27 თებერვალს, აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №97/ს) თანახმად, ე.წ B ღუმელის წარმადობა გაიზარდა 100 ტ/დღ-დან 150 ტ/დღ-მდე. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია საწარმოში არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღუმელების წარმადობის შესახებ, კერძოდ, დოკუმენტის სხვადასხვა თავებში მითითებულია, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია 100 ტ/დღ სიმძლავრის ე.წ. C ღუმელის დემონტაჟი და მის ნაცვლად 150 ტ/დღ სიმძლავრის ღუმელის მონტაჟი, ხოლო დოკუმენტის 2.2 თავში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად საწარმოში არსებულ თითოეულ ღუმელს შესაძლებლობა ექნება გავიდეს დღე-ღამეში 160 ტ წარმადობაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია საწარმოს მიერ წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ, როგორც არსებული მდგომარეობით ისე საპროექტო ცვლილებით. კერძოდ, საბაზისო პროექტით საწარმო უზრუნველყოფდა 91 250 ტონა პროდუქციის გამოშვებას, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტის 2.2 თავში აღნიშნულია, რომ არსებული მდგომარეობით, საწარმო უზრუნველყოფს წელიწადში საშუალოდ 98 000 ტონა პროდუქციის გამოშვებას. ამასთან, სკრინინგის განცხადების 2.2 თავში ასევე მითითებულია, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად საწარმოს მიერ წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა იქნება 109 500 ტონა, ხოლო ამავე თავში აღნიშნულია, რომ

ქარხნის მაქსიმალური წლიური წარმადობა იქნება 116800 ტ/დღეღამე, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ახალი ღუმელი იქნება ენერგოეფექტური და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი - კაზმის წინასწარი შეთბობის ჯიბით და არ შეიცვლება ახალი ღუმელის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა“, ამასთან დოკუმენტის 2.2 თავში მითითებულია, რომ საწარმოს მიერ წელიწადში გამოყენებული ბუნებრივი აირის მოცულობა შეადგენს 20 908 800 მ<sup>3</sup>, რაც არ შეესაბამება საბაზისო პროექტით გათვალისწინებული წლიურად გამოსაყენებელი ბუნებრივი აირის მოცულობას (19 146 800 მ<sup>3</sup>), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- 2023 წლის 12 ივნისს შეთანხმებული, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის თანახმად, საწარმოში გათვალისწინებული იყო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 32 სტაციონარული წყარო, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტში ასახულია - 33 სტაციონარული წყარო. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

